№ 14 იანვარი 21, ხუთშაბათი 1893 ია[illegible]1, ხუთშაბათი № 14

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა [illegible]თ უნდა მიმართონ: თვითონ რედაქ[illegible]აში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვი[illegible] პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1893 ГОДЪ
на газету
**„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“**
(десятый годъ изданія).

Газета будетъ выходить ежедневно, по прежней программѣ.

Городская подписка принимается въ конторѣ редакціи, Головинскій проспектъ, 12. Гг. иногородные обращаются по слѣдующему адресу: Тифлисъ, въ редакцію газеты „Новое Обозрѣніе“.

Условія подписки, съ пересылкою и доставкою: на годъ 10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца—3 р. 50 к., на одинъ мѣсяцъ—1 р. 50 к., за границу: на годъ—17 р., на полгода 9 р., на три мѣсяца—5 р., (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА, на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Редакторъ В. М. ТУМАНОВЪ. Издатель К. М. ТУМАНОВЪ

23 იანვარს ქალაქ ბაქოს სობრანიაში, სასარგებლოდ ბაქოსა, შავ-ქალაქსა და ბალახანში ხოლერით გარდაცვალებულთა ობლებისა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გაიმართება

ქართული საღამო

შემდეგის პროგრამით:

განყოფილება 1

1) მოქმედება ანტონოვის კომედიიდგან

**მზის დაბნელება**

2) მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდგან

**ბაიყუში**

განყოფილება II

ცხოველი სურათები

და

**ლეკური**

დასაწყისი 8 საათზე

საღამოს გამგენი: ე. ზ. სტალინსკაია, მ. ლ. კონსტენსკაია, ა. მ. ანტონოვისა.

კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება

„სახლების აშენების ამხანაგობისა“

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის“ მოქმედებისა წარსულ წელს,

2) არჩევანები გამგეობის წევრთა და 3) ახალ ამხანაგების არჩევანები.

კრებას შეუძლიანთ დაესწრონ წევრნი და აგრეთვე ისინი, ვინც განაცხადებენ სურვილს წევრობისას და წარმოადგენენ საწევრო ფულს არა ნაკლებ ერთის თუმნისა.

(5—2)

ტფილისი, 20 იანვარი

ბატონ-ყმობის გაუქმებას, გლეხთა განთავისუფლებას ქვეყნისათვის ერთი ფრიად მარგებელი საფუძველი დაედო: გლეხობა უმამულოდ არ განთავისუფლდა, სხვადასხვა ადგილებისა და მამულების მეტ-ნაკლებობის შესაფერად კანონმა ცოტა თუ ბევრი საკომლოები (надѣлъ) დაუნიშნა ყმადყოფილთა. თუმცა ამასთან ვალად დასდვა კანონმა, რომ ძალა საკომლო მამულებისა მამულის პატრონისათვის უნდა ეძლიათ გლეხებს და ამით დამოკიდებულება ნაბატონარს და ნაყმევთა შორის კვლავ ჰპოულობდა თავის არსებობის მიზეზს, მაგრამ კანონმა ესეც დაინახა, რომ ბოლო სრულიად განთავისუფლებისა არის ის დრო და გარემოება, როცა გლეხი გახდება საკუთარ პატრონად თავისის საკომლოსი. ამის მისაღწევად სახელმწიფომ აღმოუჩინა გლეხს შემწეობა საკომლო მამულების შესყიდვისათვის.

ამ შემწეობის მეოხებით მრავალმა გლეხმა გამოისყიდა თავისი საკომლო და მის ხელ-შეუხებელ პატრონად შეიქმნა. დრომ და ცხოვრებამ აქაც ერთი სატკივარი აუჩინა გლეხ-კაცობას, რომელიც კანონისაგან წინად დანახული არ იყო და რომელმაც დღეს ისე დააუძლურა გლეხ-კაცობა, რომ მთავრობაც და საზოგადოებაც დააფიქრა და შეაწუხა. გამოჩნდა, რომ მთავრობის შემწეობით და გლეხ-კაცის ოფლით გამოსყიდული საკომლოები გლეხ-კაცს ხელთ არა რჩება, სხვის ხელში გადადის სასყიდლით, თუ უსასყიდლოდ და ამ სახით გლეხ-კაცს მამული ეკარგება. უმამულოდ დარჩენილი გლეხ-კაცი მძიმე ტვირთია როგორც სახელმწიფოსათვის, აგრედვე საზოგადოებისათვის და თავი და თავი მიზეზია ბოგანად თრევისა და იქნება ათას გვარ უწესოებისა და ავკაცობისაცა.

ეს სატკივარი იქამდე გაძლიერდა ამ ბოლოს ხანებში, რომ სახელმწიფო მეტად ჩააფიქრა და იძულებულ გახადა წამალი რამ მოუპოვოს. ეხლა რუსეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამ სატკივარის შესახები კანონ-პროექტი უკვე გამორკვეულა, წარდგენილა სახელმწიფო საბჭოში და, როგორც ისმის, დამტკიცდა კიდეცაო. ამ კანონის ძალით საკომლო, საკუთრებად შესყიდული ნაბატონარისაგან, ვერ გადავა იმისთანა კაცის ხელში, რომელიც არ ეკუთვნის გლეხთა წოდებას, არც გასყიდვით, არც ჩუქებით, არც სხვა რაიმე გზით უსასყიდლოთი და სასყიდლით; ვერა მოვალე გლეხისა, გლეხთა წოდებისა იქნება, თუ სხვა რომელისამე წოდებისა, გლეხს ვერ აუწერს თავის ვალში საკომლო მამულსა და ეს საკომლოები ვერ გაიყიდება სასამართლოს განაჩენის ძალითაც-კი. საკომლო მამული არ უნდა მიღებულ იქმნას ცალკე კაცისაგან, ანუ საკრედიტო დაწესებულებისაგან გირაოდ სასესხებელ ფულისად და არც ხაზინასთან, ცალკე კაცთან თუ დაწესებულებასთან საქმის დასაჭერად.

თქმა არ უნდა, რომ ისეთი კანონი გლეხ-კაცის ხელში შეიმაგრებს მამულსა, ხოლო თუ ამას არ დაემატა, რომ გლეხთა საკომლოს განაწილებას მემკვიდრეთა შორის რაიმე სამზღვარი დაედოს, ამ სატკივარს გლეხ-კაცობისას ერთ მხრივ კარი ღია დარჩება ხელ-ახლად შემოსვლისა და ფეხის გადგმისათვის. მეტის-მეტად დაკუწმაწება და დანაწილება საკომლოსი მემკვიდრეთა შორის ისევ ის გარიყვაა გლეხ-კაცობისა, ისევ იმ ბოგანად თრევის მომავლინებელია, რომელიც წინად ვახსენეთ. სამად და ოთხად დაყოფა საკომლოსი, რომელიც უამისოდაც ძლივ-ძლივ საკმარისია და ზოგან არც-კი სწვდება გლეხთა საჭიროებას, იქამდე დააკუწმაწებს მთელს საკომლოს მამულს, რომ, ერთის მხრივ, ოჯახიც დაიშლება და, მეორეს მხრივ, არც თვითეულისათვის სახმარი ხელის მოსაჭიდებელი-ღა იქნება. ამ სახით არა ერთი და ორი მაგალითი იქნება, რომ მთელი საკომლო, რომელიც გაუყოფლად ერთს ოჯახს ასე თუ ისე ჰკვებავდა და ინახავდა, თვითეულის ცალკედ გასულს მემკვიდრისათვის აღარა გახდეს-რა, ამის გამო იძულებულ იქმნას მამულს თავი დაანებოს და სხვა გზა მონახოს სარჩენად და ამ გზით მამულიც უქმად დარჩეს და თითონაც ხეირი არა ჰქნახოს. შეიძლება სთქვან, რომ გლეხ-კაცს განა არ შეეძლება ამ შემთხვევაში ძალა იღოსო, თუნდ პატარა მამულისაგანაო. შესაძლოა, მაგრამ ხვნა-მთესველი გლეხკაცობა, ძალით გამცემი მამულისა, ის მკვიდრი აღარ არის, რომელზედაც დამყარებულია კეთილდღეობა სახელმწიფოსი და საზოგადოებისა; ის გარედ მოარული კაცია, დღე ყოველ დამოკიდებული იმაზე, რომ ლუკმა-პური იშოვოს იმისგან, ვისაც მისი მარჯვენა უჭირს.

გარდა ამისა, გაყრა, მემკვიდრეთა ცალ-ცალკე გასვლა და ამ გზით დაკუწმაწება საკომლოსი იმ ზომამდე, რომ თვითეული ნაწილი ვერ ინახავდეს ცალკედ გასულს, გააუქმებს, როგორცა ვთქვით წინად, მთელს კომლს, მთელს ოჯახს, რომელსაც განუყოფელი საკომლო ღონეს აძლევდა ცხოვრებისას, იმიტომ-რომ ერთიანი იყო და საკმარისი გლეხკაცის შრომისათვის.

აქაც გვეტყვიან, განა არ შეიძლება, რომ მემკვიდრეებმა ერთ-ერთს დაუთმონ თავისი მონაწილეობა და ამით ოჯახობა, კომლეულობა ერთისა მაინც შეარჩინონ სოფელსაო. ესეც შეიძლება, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ გაყრა გლეხ-კაცობაში უთანხმოებისა-

## ფელეტონი

**მოკლე ცნობანი ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში და ხმლით აღება იერუსალიმის ქალაქისა ქართველთაგან 1527 წელს.**

(დასასრული *)

მთელი მეთექვსმეტე საუკუნე საქართველოსთვის განუწყვეტელი ბრძოლა იყო ათჯერ და ასჯერ უძლიერეს მტრებთან: ორი უზარმაზარი გამძვინვარებული ვეშაპი,—სპარსეთი და ოსმალეთი შთანთქმას უპირობდნენ ამ პატარა, მაგრამ ანდამატივით მაგარს, ქართველ ეროვნებას, ხოლო მესამე უძლიერესი ვეშაპი—უთანხმოებისა და განხეთქილებისა, შიგ ქართლის გულში იწვა და უწყალოდ სწეწავდა და აუძლურებდა სარწმუნოებით აღფრთოვანებულს და ომში გამოცდილ-განლაღებულს გმირთა ქვეყანას. სამსავ ვეშაპსა ერთსა და იმავე დროს ებრძოდნენ მეფენი ლუარსაბ და სვიმონ, ათაბაგნი და იმერნი. მთელს საუკუნეს ვერ შესძლო განყოფილის საქართველოს დაპყრობა მთელმა მაჰმადიანობამ. რამდენჯერ უკუ აქცია ერთმა მუჭა ქართველობამ მთელი ლაშქარი მაჰმადიან სპარს-ოსმალთა, რამდენჯერ მოსპო მათი ხსენება საქართველოში და განდევნა იგინი საზღვრიდამ, რამდენი ათი და ასი ათასი გამოცდილთა და განრისხებულ მაჰმადიან მეომართა დაიმარხა საათაბაგოს ვიწროებში, იმერეთის გადასავალს, თუ ქართლში და თუ საორბელიანო - საბარათიანოში! მაგრამ რაც ვერ შესძლო მტრის ხმალმა, ის გაიტანა ცბიერებამ და ზაკვამ შაჰ-აბას ყაენისამ. ამ თვალთმაქცობით გამოჩენილის კაცის ცბიერებამ ბოლო მოუღო ქართლ-კახეთისა და გარდასწყვიტა თითქმის ორასის წლის გამწვავებული დავა-ცილობა იმისი, თუ ვის უნდა ჰრგებოდა საქართველო, სპარსთა თუ ოსმალებს. საქართველო ძმურად გაიყვეს ამ ორ მოქიშპე მტრებმა: ქართლ-კახეთი სპარსთა ირგუნეს და დანარჩენი—ოსმალებსა ხვდათ წილად. სპარსელებმა ქართლ-კახეთის ამოგდება მოინდომეს, მაგრამ ვერ მოახერხეს და ვერც მაჰმადის სჯული გაავრცელეს; ოსმალებმა თვისის წილის გამაჰმადიანება მოინდომეს, მაგრამ მხოლოდ თვალთმაქცობით რამდენადმე გაავრცელეს მაჰმადის რჯული საათაბაგოში და შეავიწროვეს ქრისტიანობა აბხაზეთში. ხოლო იმერეთი, სამეგრელო და გურია მხნედ და ძლევამოსილობით ებრძოდა ოსმალებს და ფეხი არ მოაკიდებინა მათს ბარბაროსულს მფლობელობას ამ მხარეში.

ამ არევ-დარევისა და მოუცლელობის დროსაც-კი ქართველობა ხელს არ იღებდა თვისს იერუსალიმელს სასიქადულო სამკვიდრებელზე და შემწეობას აძლევდა ივერთა მონასტრებს იერუსალიმში. 1580 წელს მეფე სვიმონმა გაუგზავნა მონასტრებს შეწირულობა, ხოლო 1629 წელს, 21 აპრილს, სწორედ იმ წელს, როდესაც განთქმული დიდი მოურავი გიორგი სააკაძე და მისი მხნე ქართველთ ლაშქარი ღალატით დაჰხოცა ოსმალთა მხედრთ-მთავარმა, ერთმა უცნობმა ქართველმა, ალბად მოკლულ ქართველთ საქონლიდამ მათის სულის მოსახსენებლად გარდასცა ჯვარის-მამას მარკოზს და „კაფფათელს“ კირილეს 3,300 მარჩილი,—რაიცა იმ დროს დიდი ფული იყო. ამავე დროს დიდძალის შეწირულობით მივიდნენ იერუსალიმს დრანდელ (აფხაზეთში) ეპისკოპოსი გაბრიელ პატარაძე და მანგლელი თეოდორე რევიშვილი. ამათ შეამკეს მხატვრობით რამდენიმე ნაწილი ჯვარის მონასტრისა. 1641—1645 წლებში იქ მივიდა აგრედვე განათლებული ეპისკოპოსი იაკობ შემოქმედელი, დიდი მცოდნე ქართულის მწერლობისა, წინამბრძოლი ოსმალთა სჯულისა და ცნობილი მოშაირე.

ამ იაკობ შემოქმედელის დროს ჯვარის-მამად იჯდა შესანიშნავი მოღვაწე ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, ომან ჩოლოყაშვილის ძე, ძმა ქაიხოსროსი; ნიკიფორე წინამძღვარიც იყო გოლგოთისა; კაფფათას იჯდა ელისე ქართველი და ქრისტეს საფლავის მონასტერში წინამძღვარი ლეონ. ამათის მოღვაწეობით ქართველთ მფლობელობას იერუსალიმში არა დაჰკლებია-რა.

1643 წელს სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა მისის გადაცვალებულის მეუღლის ნესტან დარეჯანის მოსახსენებლად თავისის ხარჯით განაახლა ჯვარის მონასტე-

*) იხ. „ივერია“ № 13.

გან წარმოსდგება და საცა უთანხმოებაა, იქ ადვილად სიფიქრებელი არ არის ამისთანა მშვიდობიანი მორიგება გაყრისათვის აშლილთა შორის. აქჯავრი, ჯაბრი, შური უფრო ფეხ-ადგმულია ხოლმე და აბა საცა ეს ვაქბატონები ყელს მოიღერებენ ხოლმე, იქ ხეირი აღარ არის, იქ მშვიდობიანი და ჭკუადამჯდარი განსჯა საქმისა ხმა-გაკმენდილია და ენა-დაბმული. ამიტომაც, ჩვენა გვგონია, უფრო საიმედოა კანონმა დაავალოს გლეხკაცობას, რომ ამისთანა შემთხვევაში ყველამ ერთს დაუთმონ მონაწილეობა, ვიდრე ეს საქმე გლეხთა ნება-ყოფლობას მიანდოს.

ამისათვის საჭიროა, დაინიშნოს რის ქვევით საკომლო აღარ უნდა იქმნას განაწილებულ მემკვიდრეთა შორის და ერთ-ერთს მათგანს უნდა დაეთმობოდეს ხოლმე. ეს ამისთანა კანონი, რომელსაც, რასაკვირველია, სხვა მხრივაც ბევრი განმარტება უნდა, ცალკე შეიკავებს სურვილს გაყრისას, რომელიც ასე ჰღუპავს ხოლმე გლეხკაცობას, და ცალკე ერთ-ერთს მაინც შეარჩენს საკმარისს მამულს კომლეულად ცხოვრებისათვის უწინდელ ბინაზე.

თუ ხსოვნა არ გვღალატობს, ვგონებთ, აქაურმა საგლეხ-კაცო გამგეთა დაწესებულებამ ამ მხრივაც შეხედა ზემოხსენებულ საქმეს და თავისი პროექტი, სხვათა შორის ამ საგნის შესახებიც, წარუდგინა კანონ-მდებლობას. სასურველია, რომ ხსენებულმა ზემოდ კანონებმა ჩვენს ქვეყანასაც მოხედონ.

---

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.

რუსეთის ელჩი სტამბოლიდგან იუწყება: 2—9 დეკემბერს გასულის წლისას სოუჯ-ბულაქში ხოლერით ავად გახდა 17 კაცი, იმათში 9 გარდაცვლილა; ზინჯანში—ავად გახდა 40 კაცი, გარდაიცვალა 21; ისპაანში—ავად გახდა 19 კაცი, გარდაიც. 11; შირაზში—ავად გახდა 38 კაცი, გარდ. 18; მაზანდარანის პროვინციაში—ავად გახდა 45 კაცი, გარდ. 15; სავეხის ოლქში—ავად გახდა 73 კაცი, გარდ. 31. ტრაპიზონში 9 დეკემბერს 10 კაცი გახდა ავად ხოლერით, გარდაიცვალა იმავე დღეს 3 კაცი; პლატანაში 2 კაცი გარდ. ხოლერით. იგივე ელჩი იუწყება, რომ, ოსმალეთის უმაღლეს სასანიტარო საბჭოს გარდაწყვეტილებით, სოლონიკის გზაზე, ზიბეფჩესთან 8 დეკემბრიდგან ოსმალეთში რკინის გზით მოგზაურთ, ათის დღის კარანტინის მაგიერს ხუთ დღეს გააჩერებენ. აგრედვე ათის დღის კარანტინი, დანიშნული სინოპსა და კავასთან მგზავრებთან ერთად სავაჭრო ნივთებით დატვირთულ გემებისათვის, რომელნიც რუმინიის სახელმწიფოდამ, შავი-ზღვისა და დუნაის ნაპირებიდგან მოდიან, 8 დეკემბრიდგან შეიცვალა ხუთი დღის კარანტინით; მხოლოდ იქიდგანვე მოსულ და ნივთებით დატვირთულ გემებისათვის-კი 24 საათის კარანტინი დაინიშნა 8 დეკემბრიდგანვე. იმ გემებისათვისაც, რომელშიც მგზავრები იქნებიან და თან ბარგით დატვირთულნი და საფრანგეთის ჩრდილოეთის ნაპირებიდგან ბელგიის სამზღვრებიდგან დაწყებული შერბურგამდე დადიან, 24 საათის კარანტინიც უარ-ჰყვეს 8 დეკემბრიდგან, მხოლოდ მკაცრად უნდა გასინჯონ მკურნალებმა მგზავრნიცა და გემების ბარგიცა.

ბაღდადის ელჩი იუწყება, ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით, რადგან ქალაქ ქერმან-შაჰს გაჩნდა „ხოლერა მორბუსი“ და საფიქრებლია ოსმალეთის არაბეთშიაც გადმოვიდესო, ამიტომ სამხედრო „კორდონი“ ისევ დააყენეს აღნიშნულ ქალაქში და სპარსეთიდგან არავითარი ნივთები არ უნდა შემოიტანონ ოსმალეთის სამფლობელოში.

---

# ახალი ამბავი

*** ქართულ ახალ პიესების განსახილველად ამორჩეულმა კომისიამ, რომლის წევრებადაც ითვლებიან: ნ. ავალიშვილი, პ. უმიკაშვილი, ვ. სულხანიშვილი, გრ. ყარაშვილი, პ. ყიფიანი, პავლე ყიფიანი და ალ. ყიფშიძე, ორი საღამო მოანდომა (15 და 19 იანვარი) განსვენებულ თ. დ. ერისთავის ოთხმოქმედებიან კომედიის „საზოგადო საქმე“-ს განხილვას და ხმის უმეტესობით გადასწყვიტა: შეიძლება წარმოდგენილ იქმნას კომედია „საზოგადო საქმე“ იმ სახით, რა სახითაც კომისიას წარედგინა ეს პიესა. რადგან გადაწყვეტილება კომისიისა ერთ-ხმად არ მოხდა, სჯა და ბაასი ბევრი გამოიწვია, ამისათვის კომისიამ ისიც დაადგინა: ზემოხსენებული განაჩენი ვრცელის პროტოკოლით 15 და 19 იანვრის კრებათა წარედგინოს განსახილველად დრამატიულ საზოგადოების კომიტეტს.

იგივე კომისია ამ დღეებში შეუდგება სამის ახალ პიესის განხილვას: „ჩვენებია,“ დრამა ხუთ მოქმედებად, შ. არაგვის პირელისა; „ჩვენი დროის ქალები“, კომედია პავლე ყიფიანისა და „დრონი მეფობენ“, ი. გულისაშვილისა. ზემოხსენებული პიესები მთავარ-მართებლისაგან და ცენზორის კომიტეტისაგან ნება დართულია წარმოსადგენად.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონოზანი მამა ისიდორე დაუნიშნავთ პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ინსპექტორად.

*** 20 იანვარს ქალაქის გამგეობის დარბაზში ვაჭრობა იყო საქალაქო აფთიაქის იჯარით გასაცემად. იჯარა დაჰრჩა ბორჯომის აფთიაქის პატრონს ბ-ნ კამოცკის, რომელმაც წელიწადში 4912 მანეთი შეაძლია ფულად და 950 მანეთის წამლები სამკურნალოსთვის. ამ სახით, აფთიაქის იჯარამ მოიმატა წლიურად ორას თუმანზედ მეტი.

*** უსინათლოთა მზრუნველობის ამიერ-კავკასიის განყოფილება განუზრახავს მომავალ თებერვალს გაჰმართოს ტფილისში უსინათლოთათვის სკოლა. ამ სკოლისათვის უკვე დაუქერიათ ნიკოლოოზის ქუჩაზე დიდი შენობა ბაღით. პირველად სკოლაში მხოლოდ 10 მოსწავლეს მიიღებენ. სკოლის გამგედ იქმნება ნ. ა. ბუგაევსკისა, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა პეტერბურგიდგან, სადაც მთავრობის ხარჯით გაგზავნილ იყო ბრმათათვის დაარსებულ მარიამ-ალექსანდრს სკოლაში უსინათლოთათვის სწავლების მეთოდის შესასწავლად.

*** 17 იანვარს ხარკოვის უნივერსიტეტში სტუდენტებად ნამყოფ ყმაწვილებს ტფილისში უდღესასწავლნიათ ამ უნივერსიტეტის დაარსების დღე ზოგიერთ მონაწილეთაგანს ხელის-მოწერა გაუმართავთ და ერთმანერთ შორის იმ საღამოს შეუკრებიათ 130 მანეთი და გაუგზავნიათ ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორისათვის შესაწევრად და გარდასაცემად იმავე უნივერსიტეტში მოსწავლე ღარიბ-კავკასიელ სტუდენტებისათვის.

*** ტფილისის ზოგიერთ ვაჭრებს ხმა გაუვრცელებიათ, ვითომც ქალაქის საქიმიო ლაბორატორია ამას იქით არ იღებს გასასინჯად ღორის ლორსა. ეს ხმა ყოველ სიმართლეს მოკლებულია და, როგორც „Кавказъ“-ში გამოცხადებულია, ლაბორატორია ყოველ დღე იღებს ლორს გასასინჯავად და ამიტომ აუწყებს მყიდველ-მხმარებელთ: არამცა და არამც არ იყიდონ ლორი, თუ მოვაჭრემ ლაბარატორიის მოწმობა არ გიჩვენოთო. მით უფრო საჭიროა ასეთი სიფრთხილე ლორის მყიდველთათვის, რომ როგორც გამოკვლევიდამ აღმოჩნდა, ამ უკანასკნელ დროს აქაურს ლორის ხორცში ღორთველა იქმნა შენიშნული რამდენჯერმე.

*** ბაქოდგან გვაუწყებენ, რომ იქ ამ დღეებში ახალგაზდა ნასწავლ მაჰმადიანებს წრე შეუდგენიათ და განზრახვა აქვთ უფასოდ უკითხონ მსურველთ ლექციები თათრულ ენაზედ.

*** ტფილისის პოლიციმეისტერს ცხენების იარმუკის გასამართავად ტფილისში საუკეთესო დროდ ამოურჩევია 1—7 ოქტომბერი, იარმუკა გასტანს ერთის კვირის განმავლობაში.

*** ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტის მმართველობა იუწყება, რომ ამ სასწავლებელში ივნისის თვიდგან 12 თავისუფალი ადგილი იქნება სახელმწიფო ხარჯით მისაღებ მოსწავლე-ქალთათვის ამათში 3 ვაკანსია დაინიშნება მთავარ-მართებლის განკარგულებით და დანარჩენი 9—კენჭის-ყრით, რომელიც მოხდება ამ წლის 4 ივნისს. თხოვნები ამ ვაკანსიებზე მიღებისა უნდა წარმოედგინოს ინსტიტუტის საბჭოს 1 აპრილამდე.

*** ჩვენ მივიღეთ განსვენებულ ივანე კერესელიძის სახლობის გარდასაცემად ბ-ნ კოსტანტინე მაქსიმეს ძის ულმარისაგან ერთი მანეთი.

*** სახალხო განათლების მინისტრს სა არგებლო წიგნად უცვნია ყველა სასწავლებელთათვის ლაზარევის აღმოსავლეთის ენათა სასწავლებლის მასწავლებლის ბ-ნ იოანნესოვის მიერ შედგენილი წიგნი „ელიშე“, რომელიც სომხის ისტორიკოსს ელიშე ვართაპეტის თხზულებას არკვევს.

*** ბათუმი: 18 იანვარს ოზურგეთის მაზრაში შეიპყრეს მოსე გოგიტიძე და მიხეილ თაყაიშვილი, რომლებზედაც გუმანი მიიტანეს, რომ ვითომ იმათ გაძარცვეს ბათუმის საარტელო კასსა. ამ საქმის შესახებ ოთხი კაცია დაჭერილი.

*** სუხუმი, 12 იანვარს: აქ ხან წვიმაა, ხან-კი კარგად თბილა. ამ სამი-ოთხის დღის წინად ზღვა საშინლად აღელდა. ღელვის დროს დაიღუპა ერთი ბარქასი, რომელიც ბულვარის მახლობლად ნაპირას გამოაგდო, ლუკმა-ლუკმად ნაქცევი. ღელვისავე ბრალია, რომ ზღვამ ყასაბხანა მოიტაცა. ბულვარზედ ერთ ორს ადგილას მიწამ დაიწია. საშინელი, მაგრამ თან მშვენიერი სანახავი იყო განრისხებული და აბობოქრებული მღელვარე ზღვა!

*** 12 იანვარს ღამით სოფელ დილმის მიკიტანს იოსებ ჯულმუთაშვილს შეუხტნენ ვიღაც უცნობი კაცები და 18 მანეთი წაართვეს. ჯულმუთაშვილმა ქურდად დაასახელა თავისი სოფლელი ესტატე მზვარეულიშვილი („Н. О.“).

---

## მთავრობის განკარგულებანი

თხოვნისამებრ, დანიშნულ იქმნა გორის სამაზრო სამართველოში მოხელედ სოფელ კასპის მცხოვრები, გლეხი სოლომონ ჩოჩიშვილი.

განჯის ოლქის სასამართლოს მოხელედ დანიშნულ იქმნა და ჯამაგირიც დაენიშნა გუბერნსკი სეკრეტრის შვილს სადიხ-ბეგი ვიზირიშვილი.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მოხელედ გადაყვანილ იქმნა ყაზახის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელე ივანე იორამიშვილი.

---

## ქუთაისის ქალაქის საბჭო

(წერილი ქუთაისიდამ)

გუშინ, 16 იანვარს, როგორც გწერდით, მოხდა მორიგი კრება საბჭოსი ხარჯთ-აღრიცხვის განსახილ-

---

რი, სინას მონასტერი ქართველთა და ივერიის ათონის მონასტერი. ჯვარის მონასტერზე რვა ათასი მარჩილამდე დაჰხარჯა და გარდა ამისა შესწირა ამ მონასტერს სოფელი კორცხელი 100 კვამლით. აი როგორ მოგვითხრობს ამას ერთი წარწერა ჯვარის მონასტრის სვინაქსარზედ: „ჯვარის-მამამან ნიკიფორე კახმან (ჩოლაყაშვილმან), მანგლელმან თეოდორე, მღვდელ-მონაზონმან მარკოზ, დიაკონმან ევსევი და პავლე, იკონომოსმან ილია დავახატვინეთ ჯვარის გუმბათი და კედლები და სახლები და გალავანი დაქცეული გავაკეთეთ და საკურთხეველი მოვფიქლეთ, ოდეს მისჭირდებოდა მონასტერსა: სამცხე თურქთ დაიჭირეს (1624—1635 წლ.), კახეთი და ქართლი სპარსთა დაიჭირეს 1615—1624). მას ჟამსა მომხვდა მე ცოდვილსა ჯვარის მამობა, და მიიცვალა ამიერ სოფლით სანატრელი დედოფალი ნესტან-დარეჯანი, თანამეცხედრე ხელმწიფის დადიანის ლეონისა, რომელმანცა წარაგის მისთვის ყოველივე სავსება თვალი, ვეცხლი და ოქრო წმიდათა ადგილთა ზედა სინას, მთაწმიდას და იერუსალიმს; და მე ჯერ ჩინებითა მის ხელმწიფისათა ესრეთ შევამკვე, რომელ სრულიად საზრძნეთი და არაბისტანი გაკვირდა. კვალად ხელმწიფეთა ვახტანგ († 499 წ.) ბაგრატ († 1072) და დავით დავითიანთა, რომელთა აღაშენეს წმიდა ესე მონასტერი, გაუჩინე აღაპი... დაიწერა ქორონიკონსა: ტმა“ 1653 წელს.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ოსმალებმა დიდათ შეავიწროვეს ქართველთ მონასტრები, ხოლო ქართველთ მეფენი და მთავარნი მოუძლურებულნი და მოუცლელნი იყვნენ, მტრებისა და ერთმანეთის ბრძოლაში გაბმულნი. 1687—1705 წლებ შუა რამდენჯერმე იყო საქართველოში განთქმული პატრიარქი დოსითეოს, რომელიც დიდის პატივით მიიღეს და მრავალი განძი მისცეს აღმოსავლეთის ქართველთა მონასტრების დასახსნელად. უკანასკნელ დოსითეოსმა დაიყოლია ქართველნი, რომ ქართველთ მონასტერნი აღმოსავლეთისა (გარდა გოლგოთისა და ჯვარის მონასტრისა) დროებით ჩაჰპარებოდა ბერძნებს იმ პირობით, რომ ბერძნებმა არ მოშალონ იგინი, მოახმარონ შემოსავალი იმ მამულებისა, რომელნიც საქართველოში მიჩენილი ჰქონდათ; ხოლო, როდესაც ქართველნი უკან მოსთხოვდნენ, დაუბრკოლებლად დაუბრუნონ. ეს ხელ-წერილი პატრიარქისა და ქართველთა მეფეთა დღემდე დაცულია. ამას შემდეგ ბერძნები ხშირიდ გზავნიდენ აქ თვისს ბერებს შემოსავლის მოსაკრებად, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ-და მიბარებული მონასტრები თითქმის განჰქრენ.

1755—1757 წლებში დაიარა აღმოსავლეთის მონასტრები ქუთათელი ყოფილმან, ქართლის მთავარ-ეპისკოპოსმან ტიმოთე გაბაშვილმან და აღწერა იგინი. ჯვარის და გოლგოთის მონასტრები იმ დროს ქართველთ სჭერიათ. თვით ტიმოთეს ხელ-ნაწერი, რომელსაც ჩართული აქვს მისგანვე ჯვარის მონასტრის კედლიდამ გადმოღებული სურათები ვახტანგ გორგასლანისა, ბაგრატ IV და ლეონისა, ჩვენ ვიპოვნეთ და მისი სრულად და შეუცვლელად გამოცემა დიდ სასარგებლო იქნება ქართველთა აღმოსავლეთის მონასტრებში მონაწილეობის ასახსნელად.

1764 წელს ჯვარის-მამად იჯდა ანტონ ჯვარელი დიასამიძე. ამის მამობაში ორჯერ მისულა იერუსალიმს ხონის მთავარ-ეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე, რომელიც გარდაიცვალა რუსეთში 1822 წელს. განსვენებულმა არქეოლოგმა დ. ფურცელაძემ მისი ანდერძი (რასაკვირველია, შეცდომით) გამოსცა ანტონ II კათალიკოზის სახელით და სურათით. გაზ. „კვალმაც“, ამ დღეებში იმერთა მეფის ბაგრატ III (1510—1554 წ.) სურათი ბაგრატ V სურათად მიიღო და ბაგრატ V-ის სულის ძლიერება ბაგრატ III-ის სურათზე აღმოეკითხა...

ამ საუკუნის დამდეგიდამ დაწყებული ჯვარის მონასტერში თან-დათან შემცირდა ქართველთ ბერების რიცხვი და უკანასკნელ უპატრონო მონასტერს ფეხზელნი დაეპატრონენ და გაბატონდნენ სამარცხვინოდ ჩვენდა. მეორე დიდებული მონასტერი გოლგოთისაც დაგვეკარგა, საბა და ეფთვიმე, სინას მონასტერი და სვიმონ-წმიდა და მრავალი სხვებიც ჩამოგვერთვა ჩვენის უზრუნველობის გამო. თვით დიდებული ივერიის მონასტერიც ამ 20—25 წლის წინად ხელიდამ გამოგვტაცეს, მაგრამ ვინ არის პატრონი და ხმის ამომღები?..

ამ წერილის დაწერისათვის ჩვენ ხელში გვქონდა რამდენიმე ახალი საბუთი, რომელთაც დავბეჭდავთ ჩვენს „ქრონიკებში“.

თ. ჟორდანია

ველად. საზოგადოებაში წინადვე გავარდა ხმა, რომ ბ-ნი მიქიაშვილი, მიუხედავად საბჭოს გადაწყვეტილებისა, აპირობს ამ კრებაზედ დასწრებას და რაიმე უწესოება უნდა მოხდესო, როგორც, მაგალითებრ, მიქიაშვილს საბჭოდამ ძალა-უნებური გამოყვანა, ან სხვა რამ ამ ნაირიო. ამავე დროს უფრო გამოცდილი კაცები ამბობდნენ, რომ ამ ხიფათს ადვილად აიცდენს თავიდამ ეხლანდელი ქალაქის მოურავიო.

საღამოს რვის ნახევარზე დაიწყო საბჭოს კრება. მდივანმა წაიკითხა წინა კრების ოქმი, სხვათა შორის, საბჭოს დადგენილებაც ბ-ნ მიქიაშვილის შესახებ. გათავდა თუ არა ოქმის კითხვა, ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ ხმოსანმა მიქიაშვილმა შემოიტანა ხუთი ქაღალდი ამ დღეებში და გამგეობას აბრალებს: ბოროტ-მოქმედებას, უფლების გადამეტებას და სხვა ამ გვარ დანაშაულსაო. რადგან ჩვენ საზოგადოების არჩეულნი და მისი სანდონი ვართ, არ შევვიძლიან დავკარგოთ ეს ნდობა, და ერთი წუთი რაა, იმ ერთს წუთს მაინც დავრჩეთ ამ სამძიმო ბრალდების ქვეშო. სხვათა შორის, ბ-ნ მიქიაშვილს გაუვრცელებია საზოგადოებაში ხმა, ვითომ ჩვენის ჩაგონებით საბჭომ განგებ მოიცილა დროებით თავიდამ მიქიაშვილის მზვერავი თვალი ხარჯთა-აღრიცხვის განხილვის დროს, რომ უფრო ადვილად და შეუფერხებლად გამოგვეგლიჯა საბჭოს ხელიდამ დამტკიცება ჩვენ მიერ შედგენილის შემოსავალისა და ხარჯის სიისაო. ამ ნაირი ბრალდება გაჩენის უმალვე უნდა გაბათილდეს. ამისათვის საჭიროა, რომ ბრალმდებელი და ბრალდებულნი პირის-პირ წარმოდნენ, თქვენს წინაშე სამართლიანის მსჯავრის დასადგენად. გთხოვთ მისცეთ ნება ბ-ნ მიქიაშვილს დაესწროს საბჭოს იმ რამდენსამე კრებას, რომელნიც ხარჯ-აღრიცხვის განხილვასა და დამტკიცებას მოუნდებაო.

ბ-ნი ოჰანეზოვი. ვიდრე ჩვენს გარდაწყვეტილებას მიქიაშვილის შესახებ დროებით შევაჩერებდეთ ან სრულიად გავაუქმებდეთ, საჭიროა გავიცნოთ ბ-ნ მიქიაშვილის წარმოდგენილის ქაღალდების შინაარსი. შესაძლოა, ყურადღების ღირსიც არ იყოს ეგ ქაღალდები და ჩვენ-კი დროსაც დავკარგავთ და მიქიაშვილის სათამაშოდაც გავხდებითო.

ქალაქის მოურავმა განმეორებით სთხოვა საბჭოს, მიეცით მიქიაშვილს კრებაზე დასწრების ნებაო. საბჭომ შეიწყნარა ეს თხოვნა.

წაიკითხეს პირველი საჩივარი მიქიაშვილისა.

შინაარსი საჩივრისა: გამგეობას არა ჰქონდა უფლება ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე რაიმე ხარჯი გაეწიაო. გამგეობამ საბჭოს დაუკითხავად 872 მანეთი დაჰხარჯა ცეცხლის საქრობ მანქანებისა და მათ მატარებელ ცხენების თავ-შესაფარ თავლის ასაგებადაო. ქალაქის მოურავმა ამ ნაირად მოახსენა საბჭოს საქმის გარემოება. 1892 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში დანიშნული იყო 400 მანეთი ცეცხლის საქრობ მანქანების შესაძენად და ცხენების თავ-შესაფარ სადგომის წლიურ ქირისათვის. ამდენივე იყო (ე. ი. 400 მანეთი) დანიშნული ქალაქის მოსამსახურეთა სადგომისთვის. ჩვენ მის მაგიერ, რომ მათთვის წლიურად დაგვექირავებია სახლი, რომელიც იმ ხანად (ხოლერობის დრო იყო) ვერც-კი ვიშოვეთ, რადგან ქალაქის მოსამსახურეებს ყველანი ერიდებოდნენ, თითქმის წლიურის ქირის (800 მან.) ფულით ავაგეთ შენობა, რომელშიაც მოვათავსეთ, როგორც მოსამსახურენი, ისე ცხენები და ცეცხლ-საქრობი იარაღები. ეს შენობა ათის წლის განმავლობაში მაინც გაგვიწევს სამსახურს. აქვე უნდა მოვახსენო საბჭოს ის გარემოება, რომ ამ ორ საქმისათვის გადადებულ ფულისა შარშან მაინც კიდევ დაგვრჩა ათას მანეთზე მეტი. ეს თუ დანაშაულობაა ჩვენის მხრივ, მზადა ვართ პასუხი ვაგოთ.

— არა—არა!.. მადლობის ღირსი ხართ, მადლობისა!—გაისმის საბჭოში.

ბ-ნი მიქიაშვილი: მე იმას-კი არ ვამბობ, რომ ურიგოდ იყოს ფული დახარჯული, ან მომეტებული დაგეხარჯოთ. მე შევეხე მხოლოდ ფორმალურ კერძოობას. ხარჯთ-აღრიცხვით თქვენ სახლის ასაშენებლად არაფერი გქონიათ დანიშნული და, თუ საჭიროდ დაინახეთ ეს ხარჯი, ჩვენ უნდა მოგვეწვიენეთ და გვკითხათ. შეიძლება, ჩვენ მეტიც დაგვენიშნა და უფრო სამკვიდრო რამ აგვეშენებინა.

ეს სიტყვები საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა.

შემდეგი საჩივარი შეეხებოდა გამგეობის ერთის წევრისაგან, სახელდობრ მურადოვისაგან 16 მანეთის უკანონოდ დახარჯვას.

ქალაქის მოურავმა სთქვა, რომ ეს ხარჯი ჩემის განკარგულებით არის გაწეული და გამოწვეულია ქალაქის განათების საქმის გამო. საჭირო იყო მთელის ქალაქის ქუჩების დათვალიერება საჩქაროდ, რომ გამოგვეკლვია სად უნდა მიგვემატებია ახალი ფანრები, სად უნდა მოგვენაცვლა ძველის ფანრებისათვის ალაგიო და სხვ. არც აქ გადავცილებულვართ ხარჯთ-აღრიცხვას; ცოტაოდენი ეკონომია აქაც დაგვრჩა.

მეიქნა ხმაურობა—ეს ფუჭი მასლაათია. მიქიაშვილს სურს უმნიშვნელო საგნებით შეგვაქციოს და თავიდამ აიცილოს სასჯელიო.

ამას შემდეგ დაიწყეს ისევ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

ბ-ნმა ოჰანეზოვმა მოითხოვა ბ-ნ მიქიაშვილის გასვლა დარბაზიდამ, რადგან მისი საჩივარი, რომელიც უნდა აეხსნა და განემარტნა ჩვენთვის, უკვე განხილულ იქმნაო. ქალაქის მოურავმა შენიშნა, რომ მიქიაშვილს საბჭომ ნება მისცა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დამთავრებამდე კრებაზე დასწრებისაო: მაშინ ადგნენ ბ-ნნი: ოჰანეზოვი, ი. გაბაშვილი, შნეიდერი, ნაზაროვი და ქელბაქიანი და, ნიშნად უკმაყოფილებისა, დასტოვეს საბჭოს დარბაზი.

კ. ბ—ძე

# დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ.** (14 იანვარი): ეს დღე ყოვლად სადიდებელი და სადღესასწაულო დღეა ყველა ქართველისათვის; დღევანდელს დღეს ქართველობა იგონებს თავის განმანათლებელის მოციქულთა სწორის წმ. ნინოს მიცვალებას. ეს დღესასწაული წელს ყველაზედ უფრო შესანიშნავი და სადღესასწაულო იყო კავკავის ქართველებისთვის—დღეს აღუსრულდათ ამათ ერთი სამართლიანი გულის წადილი; ამ დღეს აქაური ქართველები ეღირსნენ ქართულ წირვა-გალობის მოსმენას.—14 იანვარს, წმ. ნინობას, აქაურს ესრედ წოდებულს ოსების საყდარში ქართულად სწირა დეკანოზმა მამა იოილ სამადაშვილმა. წირვაზედ ქართულადვე გალობდნენ აქაურ ქართულის სკოლის შეგირდები მასწავლებლის ბ-ნ ლ. ბოცვაძის ლოტბარობით, რომელმაც, სხვათა შორის, მშვენიერის ქართულის კილოთი მკაფიოდ და გარკვევით წაიკითხა იმ დღის სამოციქულოც. საზოგადოდ ქართულმა და მწყობრმა ქართულმა გალობამ ფრიად სასიამოვნოდ იმოქმედა წირვაზედ მყოფ ქართველებზე; მათს რიცხვში ისეთებიც იყვნენ, რომელთაც, იქმნება, ორმოცი წელი მეტია ქართული წირვა-გალობა არ გაეგონათ. წირვაზე მყოფნი დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილნი დარჩნენ როგორც დეკანოზის იოილ სამადაშვილისა, ისე აქაურ ქართველ სკოლის მასწავლებლის ბ-ნ ლ. ბოცვაძისა, რომელმაც ამ მცირე ხანში შეადგინა თავის სკოლის შეგირდებისაგან მშვენიერი გუნდი ქართულ მგალობელთა კარბელოვის კილოზედ. ვისურვებთ და ვიმედოვნებთ, რომ ამის შემდეგაც არა ერთხელ გავიგონებთ და მოვისმენთ ქართულ წირვა-გალობას.

კავკაველი ქართველი.

## ᲞᲐᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

(სიტყვა მთავარ-პროკურორისა)

ბრალდებულთა და მოწმების ჩვენებათა ჩამორთმევის შემდეგ 5 იანვარს მთავარმა პროკურორმა რაუმ სიტყვა წარმოსთქვა. ეტყობოდა, რომ რაუს ძლიერ კარგად შეუსწავლია პანამის საქმე.

ბატონებოო, დაიწყო სიტყვა მთავარმა პროკურორმა, თქვენ უნდა გაასამართლოთ ისეთნი კაცნი, რომელთაც წარსული ჩირქ-მიუცხელი და შეუბღალავია და რომელთაც ძლიერ დიდი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე. ზოგს მათგანს დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ საქმეთა განხორციელებაში, რომლებითაც მთელი ჩვენი ერი ამაყობს. და, აი, დღეს იძულებულნი ვართ სწორედ ასეთი კაცები გავასამართლოთ.

მე იმედი მქონდა, რომ საქმის გარჩევა დაგვიმტკიცებდა მათ სიმართლეს. მაგრამ ეს იმედი გამიმტყუნდა. ზოგიერთ მოწმეთ ილაპარაკეს ბრალდებულთა პატიოსნებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი დანაშაული ისე აშკარაა, რომ ჩემის სურვილის მიუხედავად გამართლების მაგიერ იძულებულ ვარ მათი დასჯა მოვითხოვო.

მე მსურდა ბრალდებულთა სიიდგან გამომერიცხა დიდებული მოხუცი ფერდინანდ ლესეპსი, მაგრამ შესაძლოა ესა? განა სწორედ ამ მოხუცის თავის ბედის ვარსკვლავის იმედმა არ გამოიწვია ეს აურ-ზაური, რომელმაც დაჩრდილა მისი პატიოსნება?

ლესეპსის წყალობით ხალხმა ათასობით დაჰლუპა თავისი სარჩო და შეიქმნა მსხვერპლად ავაზაკობისა და ბოროტ-მომქმედთა.

შემდეგ მთავარმა პროკურორმა განმარტა პანამის საქმე და სხვათა შორის მოაგონა მსაჯულთ ლესეპსის სიტყვა, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: „მე გავიყვანე სუეზის არხი, მევე გავიყვან პანამის არხსაც. გამარჯვებულმა სარდალმა უარი არ უნდა სთქვას ბრძოლაზე, როდესაც მეორედა სთხოვენ გამარჯვებას".

ეს სიტყვებიო, სთქვა პროკურორმა, დევიზად შეიქმნა უბედურის საქმისა.

პირველადვე ხარჯთ-აღრიცხვას სიყალბე შეეტყო. ინჟენერთა კონგრესმა იანგარიშა, არხის გიყვანა 1,200 მილიონი ფრანკი დაჯდებაო. ფერდინანდ ლესეპსმა გამოაცხადა, პანამის არხის გაყვანას 400 მილიონ ფრანკზედ მეტი არ დასჭირდებაო და როცა ეს ფული ხელის მოწერით ვერ შესდგა, მაშინ-კი სთქვა, 300 მილიონზედ მეტი არ დაგვჭირდებაო.

პირველად რომ ხელის მოწერით ფული არ შეგროვდა, განაგრძო პროკურორმა, ლესეპს საქმისთვის თავი უნდა დაენებებინა, მაგრამ არა, ლესეპსმა ამჯობინა, ბ-ნ ლევი-კრემიეს სიტყვა გაეგონა, რომელმაც ურჩია, ჟურნალ-გაზეთები დავქრთამოთო. საქმე რომ კარგად წასულიყო, ლესეპსმა დააარსა ჟურნალი „Moniteur de Panama", სხვა ჟურნალ-გაზეთებიც დაქრთამა და ყველა პანამის საქმეს გუნდრუკს უკმევდა.

პანამის საზოგადოების საქმე შეფერხდა და ამიტომ 1887 წელს ფერდინანდ ლესეპსმა ისარგებლა ეიფელის სახელით და გამოაცხადა, ეიფელი კისრულობს პანამბს არხის დამთავრებას და ამისთვის მხოლოდ 300—400 მილიონია საჭირო. ეს ფულიც შეგროვდა, მაგრამ 1892 წელს პანამის საზოგადოება დაიშალა და მხოლოდ მაშინ აღმოჩნდა საქმის ნამდვილი ვითარება. პანამის არხს მოხმარდა მხოლოდ 698 მილიონი. პანამის საზოგადოებამ-კი შეკრიბა 1 მილიარდი და 400 მილიონი ფრანკი. 600 მილიონი გაჰქრა. ეს ფული ზოგს ქრთამებად დაურიგეს და ზოგიც თვით საზოგადოებამ ჩაჯიბა. უკანასკნელად დაჰლუპა პანამის საზოგადოება ინჟენერმა ეიფელმა. სწორედ საკვირველიაო, სთქვა პროკურორმა, რამდენი აუარებელი ფული მიიღო ეიფელმა პანამის საზოგადოებისაგან.

პირველად 3 მილიონი მისცეს, შემდეგ 2 მილიონამდე, მერე კიდევ $9^1/_2$ მილიონი და ბოლოს 18 მილიონი. სულ პანამის საზოგადოებისაგან ეიფელმა მიიღო 73 მილიონი და ამ ფულიდგან საკუთრად თითონ ჩაჯიბა 33 მილიონი ფრანკი, თუმცა თითონ აღიარებს, მხოლოდ 15 მილიონით ვისარგებლეო. ეს ფულიც საშინელი დიდი მოგებაა.

ინჟენერთა კომისიამ პანამის არხის საქმე გასინჯა და აღმოჩნდა, რომ არხის დამთავრებისათვის საჭიროა კიდევ 900 მილიონი ფრანკი და 8 წლის მუშაობა, ესეც მხოლოდ იმ პირობით, თუ პანამის საზოგადოებამ ახალს საზოგადოებას ყველა მასალა გადასცა. თორმეტის წლის შემდეგ, თუ არხი გაკეთდა, ყოველ წლივ მოიტანს 60 მილიონ შემოსავალს. ეჭვი არ არის, რომ ეს შემოსავალი ვერ დაჰფარავს დახარჯულს 1,400 მილიონ ფრანკსა და იმ 900 მილიონს, რომელიც კიდევ უნდა დაიხარჯოს.

აი, ბატონებო, დაასრულა თავისი სიტყვა პროკურორმა, ვითარება იმ საქმისა, რომელმაც ჩაინთქა $1^1/_2$ მილიარდი, და რომლის შესახებაც დეპუტატმა გუარანმა სთქვა: „აი, ყოვლად უდიდესი ბოროტ-მოქმედება მეცხრამეტე საუკუნისაო".

# რუსეთი

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ფინანსთა მინისტრის წლევანდელ სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვიდგან სჩანს, რომ გაუწერელ გარდასახადის სავარაუდო შემოსავალი წრეულს გაცილებით მეტია გასულის წლისაზე, ხოლო გაწერილი გარდასახადი-კი მხოლოდ 5.024,199 მანეთითაა მეტი წარსულ წლისაზე. აქედგან, ცხადია, რომ ფინანსთა მინისტრს სახელმწიფო შემოსავლის მოსამატებლად საუკეთესო ღონისძიებად გაუწერელ გარდასახადთა მომატება უცვნია. თითონ ფინანსთა მინისტრი თავისს ამ წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში ასე ამბობს: „გაუწერელ გარდასახადთა თვისება ისეთიაო, რომ მათი გარდამხდელი ყოველთვინ მცხოვრებთა ის ნაწილია, რომელსაც ქონებრივი საშუალება და ღონისძიება აქვს, და, მაშასადამე, ამ გვარი გარდასახადი ქონებისა და შეძლების გვარად". განაწილდება რუსეთის გაზეთები და მათ შორის „Рус. Вѣд."-კი აი რას ამტკიცებდნენ აქამდე და ახლაც ამტკიცებენ: გაუწერელი გარდასახადი მხოლოდ იმითია კარგი, რომ სახელმწიფო ადვილად იღებს ამ გვარ გარდასახადს, რადგან ყოველ კაცს რაც ჭჭირია საცხოვრებლად, თუ რამ ღონისძიება აბადია, თითონ მირბის და ყიდულობს, რაც უნდა ძვირადა ჰღირდეს... მაგრამ საქმე იმაშია, აქვს თუ არა სახელმწიფო მცხოვრებთა უმრავლესობას საშუალება გაუწერელი გარდასახადით, ე. ი., აქციზებით გაძვირებული ნივთები შეიძინოს და მით ხაზინას შემოსავალი მისცეს?! თითონ ფინანსთა მინისტრის ანგარიშიდგანა და მოხსენებიდგან სჩანს, რომ 1891 წლის მოუსავლობამ ძლიერ დასცა ეკონომიური მდგომარეობა რუსთა გლეხ-კაცობისა, ასე-რომ 1892 წელსაც საზოგადოდ ჭირნახულის მოსავალი საშუალი იყო და რამდენსამე გუბერნიაში სულაც არა მოსულა-რა და ისევ შიმშილობა მოელის, თუ არ მიეშველა ხაზინა წელსაც. გაუწერელ გარდასახადთა, ე. ი. სხვადა-სხვა აქციზისა და ბაჟის მომატებით ცხოვრებისათვის საჭირო ნივთები ძვირდება, თვით ცხოვრებაც ძნელდება და რანაირად შესძლოს თავისი რჩენა გლეხმა? მთავრობა ხომ ყოველთვის არ მიეშველება? და რომ მიეშველოს საიდგან როცა უმთავრესნი ხარჯის მხდელნი ქონებით ულონონი და ლატაკნი იქნებიან და, მაშასადამე, თვით ხაზინას მცირე შემოსავალი ექმნება? ამიტომ სამართლიანობა მოითხოვდა, რომ გაუწერელ გარდასახადთა მომატებას-კი არა, გაწერილ გარდასახადს მიაქციონ ყურადღება და ქონების კვალობაზედ (подоходные налоги გარდასახადი შემოიღონ. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გამოცდი-

ლებამ, მეცნიერთა ფინანსთა, პოლიტიკო-ეკონომთა გამოკვლევამ და თითონ რუსეთის სახელმწიფოს პირობათა აწონ-დაწონვამ დაგვარწმუნა, რომ გაუწერელი გარდასახადი მხოლოდ ასაკრებადაა ადვილი შეძლების კვალობაზედ-კი არ ნაწილდება, შეძლებულ და ვაჭარ ხალხს-კი არ აწვება, პირიქით უფრო ღარიბ და ღატაკ ხალხს უძნელებს ცხოვრებას, რაიცა თითონ ხაზინისა და სახელმწიფოსათვისაც მავნებელია, როგორც დაგვარწმუნა 1891—92 წლების მოუსვლობამ და სიმშილმა რუსეთში.

## წვრილი ამბავი

ერთს მეცნიერს შარლ სიბილიოს გამოუგონია ახალი ჰაეროსტატი, რომელიც ისეა თურმე მოწყობილი, რომ შიგ მჯდომს ადვილად შეუძლიან, საითაც უნდა, იქით წაიყვანოს და, სადაც უნდა, იქ გააჩეროს. უწინდელს ჰაეროსტატებს ეს ღირსება აკლდათ... შარლ-სიბილიოს განზრახვა აქვს, ამ ჰაეროსტატით თავისუფალი მიმოსვლა გაჰმართოს ბრიუსელსა და ანტვერპენ შორის.

— ვენაში ამას წინად ერთ ახალგაზდას ასოცი ათასი გულდენი წაუგია ქაღალდის თამაშობაში. ამ ამბავს გუბერნატორის ყურამდე მიუღწევია და სასტიკად აღუკრძალავს ამ გვარი თამაშობა.

— ამ ცოტა ხანში ბერლინის მხატვართა შორის დიდი უსიამოვნება მომხდარა. ორ დასად დაყოფილან და დიდი ბრძოლა აქვთ თურმე. ერთი დასი ახალგაზდებისაგან შესდგება, მეორე-კი ხნიერებისაგან. ამ უსიამოვნობის გამო ამ დღეებში რამდენსამე „ახალგაზდას“ დაუნებებია თავი მუშაობისთვის.

— აგერ რამდენი ხანია, რაც ინგლისელი უოლტერ გარისი და კენინგემ გრეგემი აფრიკაში მოგზაურობენ. როგორც იუწყებიან, აფრიკაში უნახავთ ამათ „ჯუჯა კაცები“, რომლებიც ერთს არშინზე მეტის სიმაღლისანი არ არიან. ჰფიქრობენ, ვითომ მათი წინაპრებიც ასეთის ტანისანი იქმნებოდნენო.

## დეპეშა

19 იანვარი

**პეტერბურგი.** გუშინ მემკვიდრე ცესარევიჩი დაბრუნდა საზღვარ გარეთიდგან.

ხელმწიფე იმპერატორის მიერ ემირისთვის ნაჩუქარი ბრილიანტის პანაში შემკულია დიდის ზურმუხტით და გარშემო ბრილიანტები აქვს. ძვირფასი საჩუქრები ებოძათ აგრედვე ემირის შვილსა და ამალას. მშვენიერი საჩუქრები მისცეს ემირს აგრედვე დიდმა მთავრებმა და დიდმა მთავრინებმა. ემირმა შინაგან საქმეთა მინისტრს გაუგზავნა ბრილიანტებით შემკული ოქროს ორდენი ამომავალ ვარსკვლავისა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზღვარ გარეთიდგან დაიბარა ჩაგვარჯილებულ კარბოლის სიმჟავე დეზინფექციისათვის; ამ კარბოლის სიმჟავეს სამინისტრო დიურიგებს სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათ იმ ფასადა, რა ფასადაც თითონ შეუძენია. ამ დაწესებულებათ წინადვე უნდა შეატყობინონ სამკურნალო დეპარტამენტს კარბოლკის სიმჟავის რაოდენობა და აღნიშნონ ის ადგილი, სადაც უნდა გაიგზავნოს.

„გრაჟდანინ“-ი იუწყება, რომ ხმა დადის, ვითომ მინისტრთა კომისიამ რამდენისამე ხნით გადასდო ბჭობა შესახებ იმისა, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო გადაკეთებულ იქმნას სამეურნეო სამინისტროდ.

**პარიჟი.** გამომძიებელმა კომისიამ განიხილა საქმე: მომხსენებელი ამოვირჩიოთ, თუ არაო. მემარჯვენეთა და უმწვერვალეს მემარცხენეთა დასის წევრნი ამტკიცებენ, ჯერ გამოძიება არ დამთავრებულა და ამიტომ საჭირო არ არის მომხსენებელის არჩევაო. კომისიამ უარ-ჰყო წინადადება მომხსენებლის არჩევის შესახებ და გადასწყვიტა, მოვთხოვოთ დელაგეს, წარმოარგინოს სრული საბუთები იმ დანაშაულისა, რომელთაც დელაგე ბრალადა სდებს პარლამენტის მოღვაწეთ. ამის გამო გამოძიება კიდევ გასტანს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ რესპუბლიკელებს სურთ პანამის საქმე მიაფუჩეჩონ.

**ლონდონი.** პარლამენტის კრება დაიწყო სეფე სიტყვით: დედოფალი ამას იქითაც მეგობრობას იქონიებს უცხოელთა ყველა მთავრობასთან; ყველა მთავრობას მშვიდობიანობა ჰსურს. ის გარდაწყვეტილება, რომ ეგვიპტეში მცირეოდენი ჯარი გავგზავნოთ მისაშველებლად, სრულიად არ ნიშნავს ინგლისის პოლიტიკის შეცვლასაო. ქედივმა გამოაცხადა, განზრახვა მაქვს, უწინდელივით ბრიტანიის მთავრობას დავეკითხო ხოლმე საპოლიტიკო საქმეებში. სეფე სიტყვიდგანა სჩანს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს შესცვალოს ირლანდიის საქმეთა მართვა-გამგეობის წესი, რათა დააკმაყოფილოს ირლანდიელები, შეუმსუბუქოს შრომა ბრიტანიის პარლამენტს და უზრუნველ ჰყოს ერთიანობა და უშიშროება სახელმწიფოსი.

პეტერბურგის ბირჟა, 19 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,81 | 7,84 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155 1/2 | 156 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240 1/4 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 226 1/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . . | 102 3/4 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 102 3/4 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნ ი ხ რ ი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | | 5 | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | | „ | 4 | „ |
| „ „ 2 „ | „ | „ | 3 1/2 | |
| „ „ 3 „ | „ | „ | 3 | „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | | „ | 5 | კ. |
| „ „ „ 2 | | „ | 4 | „ |
| „ „ „ 3 | | „ | 3 1/2 | |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | | 7 | კ. |
| მე-2 „ „ | „ | „ | 5 | „ |
| მე-3 „ „ | „ | „ | 4 | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | | | 7 | კ. |
| სუკი — — | — | | 12 | „ |
| ცხვრის ხორცი — | — | | 7 | „ |


## განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—5)

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.
გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და სხვაგანაც
ვალერიან გუნიას მიერ
შედგენილი და გამოცემული

**საქართველოს კალენდარი**
**1893 წ.**

კალენდარი შეიცავს 500-მდე კარგად დასტამბულ გვერდს დიდის ფორმატისას. «საქართველოს კალენდარი» 1893 წლისათვის დასურათებულია მრავალის, როგორც უცხო ქვეყნების, აგრეთვე ქართველ მწერალ მოღვაწეთა სახსტებით. ფასი უყდოდ **45** კაპ. ყდაში **55** კაპ.

უბის წიგნი 1893 წლისათვის
მშვენიერის ყდიან-ყარანდაშით და რეზინით **40** კაპ.

**სახალხო კალენდარი 1893 წ.**

მრავალის ცნობებით და საჭირო გამოსადეგ რჩევა-დარიგებით
ფასი ერთი შაური.

იქვე ისყიდება ეხლა-ხან გამოსული ახალი წიგნი,
ვალ. გუნიას მიერვე შედგენილი,

ქართული მიწერ-მოწერის კრებული

სრული და კრცელი სახელმძღვანელო სხვა-და-სხვა ბარათებისა და წერილების შესადგენად ყოველ გვარ შემთხვევისთვის. წიგნში 208 გვერდია სამ ნაწილად.

**ფასი ორი აბაზი, ყდით ათი შაური**

ყველა ვინც ნაღდ ფულად გამოიწერს ამ წიგნებს არა ნაკლებ 4 და 5-ის ცალისა, დაეთმობა 20°/₀.

ვისაც საკამისიოდ ჰსურთ კალენდრების წაღება, შეუძლიანთ მიჰმართონ „წერა-კითხვის გამავრც. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან: ფრეილინის ქუჩა № 5,
(6—6)

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

**პანსიონი და სასწავლებელი**

ა. ვ. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.
(50—35)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

**„ივერია“**

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, | |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, | |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, | |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, | |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებმა უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროა მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.